განკარგულება:**g-31. 31232695**
თარიღი:**26/09/2023**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**განკარგულება №66**

**2023 წლის 26 სექტემბერი**

**ქ. ლანჩხუთი**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის მე-5 ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ნიკა იმნაძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და მე-4[1] მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად,

**მუხლი 1.** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის მე-5 ქუჩას ეწოდოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ნიკა იმნაძის სახელი თანდართული რუკის შესაბამისად.

**მუხლი 2.** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, ორი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

**მუხლი 3.** განკარგულება გაეგზავნოს სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

**მუხლი 4**. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 5**. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

# ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ წყალწმინდა N5 ქუჩა ნიკა იმნაძის სახელობის ქუჩა